ფორუმი ადამიანის უფლებებისთვის
2021

ფორუმის შესახებ

ფორუმი ადამიანის უფლებებისთვის, 2018 წელს დაფუძნდა და მისი მიზანია ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე რეგიონული ორგანიზაციებისა და აქტივისტებისთვის ერთიანი საკომუნიკაციო პლატფორმის შექმნა, რეგიონებში უფლებადაცვითი აქტივიზმის გაძლიერება და ხელშეწყობა. 2021 წლის 5 ნოემბერს ადამიანის უფლებათა სახლის ორგანიზებით გაიმართა ონლაინ "ფორუმი ადამიანის უფლებებისთვის" თემაზე: უფლებადაცვითი საქმიანობა საქართველოს რეგიონებში (არსებული სიტუაცია და გამოწვევები). ფორუმზე გაიმართა თემატური დისკუსიები საქართველოს რეგიონებში უფლებადამცველებისა და უფლებადაცვითი ორგანიზაციების საჭიროებების შესახებ.

ფორუმის წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს მცირე ჯგუფებში შემდგარი დისკუსიების შედეგებს და მონაწილეების მიერ ერთობლივად შემუშავებულ რეკომენდაციებს.

ვისთვის არის რეკომენდაციები?

- საქართველოს ხელისუფლებისთვის, კონკრეტულად კი საქართველოს მთავრობისთვის, პარლამენტისთვის, ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოებისთვის;
- დონორი ორგანიზაციებისთვის
- უფლებადამცველებისთვის/უფლებადაცვითი ორგანიზაციებისთვის
- სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის

ფორუმის მონაწილეები

ფორუმში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მომუშავე უფლებადამცველებმა და აქტივისტებმა, რომელთა საქმიანობაც მოიცავს როგორც ქალთა უფლებებს, უმცირესობების უფლებებს, ისე სხვა სოციალურ საკითხებსაც. გაეროს „უფლებადამცველების შესახებ დეკლარაცია“ [1] "უფლებადაცვით საქმიანობად" მოიაზრებს

[1] დეკლარაციის სრული სახელია „ადამიანების, ჯგუფებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ დეკლარაცია, ხელი შეუწყონ და დაიცვან ადამიანის

ნებისმიერი ტიპის საქმიანობას, პროფესიას თუ სფეროს - რომელშიც ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, გაერთიანება თუ ასოციაცია მუშაობს ადამიანის უფლებების დასაცავად, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ფორუმში მონაწილეობა მიიღეს სწორედ იმ ადამიანებმა, რომლებიც თავიანთი საქმიანობით საკუთარ თემში, ქალაქში თუ რეგიონში ადამიანის უფლებებს იცავს და მათთვის უკეთესი სოციალური პირობების ადვოკატირებას ეწევა.

ფორუმის მონაწილეები წარმოადგენდნენ შემდეგ რეგიონებს:

- აჭარა
- ქვემო ქართლი
- სამცხე-ჯავახეთი
- კახეთი
- სამეგრელო - ზემო სვანეთი

სესია 1 : რეგიონში/სოფელში/ქალაქში არსებული სიტუაცია და მთავარი გამოწვევები უფლებადამცველებისთვის

შეხვედრაზე მონაწილეებმა ისაუბრეს მათი რეგიონის პრობლემებზე და ამ პრობლემების გამომწვევ მიზეზებზე. დაიდენტიფიცირდა როგორც საერთო პრობლემები, რომლებიც ყველა რეგიონისთვის აქტუალურია, ისე კონკრეტული რეგიონის წინაშე არსებული სპეციფიკური გამოწვევები.

მნიშვნელოვანი პრობლემად დასახელდა რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობა და უთანასწორობა დიდ ქალაქებსა (განსაკუთრებით თბილისსა) და რეგიონებს შორის. უფრო კონკრეტულად დასახელდა რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების არამდგრადობა, შესაბამისად არასტაბილური სამუშაო ადგილები, რაც თავის მხრივ იწვევს ახალგაზრდა და პროფესიული კადრების გადინებას. გარდა ამისა, აღნიშნული იყო არააქტიური ბიზნეს სექტორიც, რომელიც რეგიონებში სოციალური პასუხისმგებლობის გაზიარებას ვერ ახერხებს და არ არის აქტიურად ჩართული კონკრეტული მუნიციპალიტეტებისა და/ან რეგიონული პრობლემების დაძლევისთვის ბრძოლაში.

დისკუსია ასევე შეეხო ქალთა უფლებებს, უმცირესობების უფლებებს, შშმ პირების უფლებებს და გამოიკვეთა რეგიონებში ამ ჯგუფების წინაშე არსებული გამოწვევები.

საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და ძირითადი თავისუფლებები ” , მიღებული გაეროს გენერალური ასამბლიის მიერ 1998 წლის 9 დეკემბერს რეზოლუციით A/RES/ 53/144

- **სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა თბილისსა და რეგიონებს შორის**
    - ხდება პროფესიული რესურსის გადინება რეგიონებიდან მძიმე სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გამო
    - რეგიონებში კერძო სექტორის (ბიზნესის) დაბალი აქტიურობა
    - რეგიონებში სამუშაო ადგილების სიმცირე
    - სოციალური პროგრამები ძირითადად ერთჯერადი ხასიათისაა და არ არის მორგებული მოქალაქის საჭიროებებს, ნაკლებად უწყობს ხელს პრობლემის ძირეულ მოგვარებას.

- **ქალთა უფლებები**
    - მიუხედავად სახელმწიფო აკრძალვისა, კვლავ ხდება ქალთა ადრეული ქორწინება (განსაკუთრებით არადომინანტური ჯგუფებში)
    - ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ოჯახში კვლავ ხშირია - რეგიონებში უფრო შეზღუდულია ქალი ეკონომიკურად, ხშირად ის ვერ იღებს მემკვიდრეობას კაცის მსგავსად, ნაკლებად არის ჩართული ეკონომიკური გაძლიერების პროგრამებში.
    - ქალების, განსაკუთრებით კი მარტოხელა დედების, ასევე სოციალურად დაუცველი ქალების გასაძლიერებლად არ არსებობს მუნიციპალური პროგრამები.
    - ოჯახში ძალადობის შემთხვევაში რეგიონებში ნაკლებად ხელმისაწვდომია ფსიქოლოგის კონსულტაციები .
    - ქალთა ჩართულობა პოლიტიკასა და სამოქალაქო საზოგადოებაში მთელ საქართველოში დაბალია, თუმცა ეს განსაკუთრებით ჩანს რეგიონულ დონეზე, სადაც კიდევ უფრო გამძაფრებულია სტიგმა და შესაბამისად ნაკლები ქალი ირჩევს ირჩევს იყოს საზოგადოდ აქტიური.

- **უმცირესობების უფლებები**
    - ლგბტ+ თემის ხილვადობა და მათი შეუწყნარებლობა მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიერ ქვეყანაში უმცირესობების ერთ-ერთ ყველაზე უფრო მწვავე უფლებრივ გამოწვევას წარმოადგენს
    - რელიგიური შეუწყნარებლობა რეგიონებში - განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც რამდენიმე კონფესიის წარმომადგენელი ჯგუფები ცხოვრობენ.

- **შშმ პირთა პრობლემები**
    - შეუსაბამოა შშმ პირებისთვის სახელმწიფოსგან გამოყოფილი ვაუჩერული დაფინანსება დღევანდელ ეკონომიკურ პირობებთან. შშმ პირების ვაუჩერით ფინანსდებიან დღის ცენტრები, თუმცა ინფლაციის და ფასების მატების ფონზე,

სახელმწიფოს დაფინანსება არის მწირი, რათა დღის ცენტრებმა ბენეფიციარებს უკეთესი სერვისი შესთავაზონ.

- შშმ პირთა ეკონომიკური ექსპლუატაცია და პანდემიის პირობებში მათი დასაქმების პრობლემა კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც პანდემიის გამო სხვადასხვა შეზღუდვები იყო დაწესებული

- **მიმდინარე კრიზისები**
  - ანტივაქსერული კამპანიები კვლავ ათასობით ადამიანის ჯანმრთელობას აყენებს ზიანს.
  - ვაქცინაციის პუნქტები ნაკლებად ხელმისაწვდომია იმ მოსახლეობისთვის, რომლებიც ადმინისტრაციული ცენტრისგან მოშორებით ცხოვრობენ.
  - გაუმართავია ინფრასტრუქტურა რეგიონებში (გზები, წყალგაყვანილობა, გაზგაყვანილობა და ა.შ.)
  - სოფლის ამბულატორიების უფუნქციობა, ადგილზე სოფლის ამბულატორიები და ექიმები ნაკლებად ხელმისაწვდომია მოქალაქეებისთვის. ამბულატორიები არ არის აღჭურვილი.

- **სპეციფიკური გამოწვევები კონკრეტულ რეგიონებში**

  - **სამცხე-ჯავახეთი**
    - ბავშვთა შრომითი ექსპლუატაცია რეგიონებში ხშირად ხდება, განსაკუთრებით ფიზიკური სამუშაოს შესასრულებლად (მოსავლის ასაღებად და მისთ.)

  - **ქვემო ქართლი**
    - არასწორი ბიუჯეტირება პრობლემად დასახელდა ქვემო ქართლის რეგიონში - მოსახლეობა ჩართული პროცესში არაა და არ ხდება მათი საჭიროებების გათვალისწინება
    - ენობრივი უმცირესობებისთვის ინფორმაციული ვაკუუმი არსებობს, რომელსაც სახელმწიფო ხშირად ივიწყებს,
    - სოციალურად დაუცველის სტატუსის მოსაპოვებლად „გაზარმაცება“

  - **შიდა ქართლი:**
    - ე.წ. საზღვრისპირა მიწების დაკანონება - ბიუროკრატიული წინაღობები კვლავ ხელს უშლის ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. საზღვრისპირა სოფლების მაცხოვრებლებს, დაიკანონონ საკუთარი მიწები
  - **სამეგრელო**
    - დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობები არ არის მოწესრიგებული, ხშირად მათი განსახლების ობიექტები ნგრევადია და საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

- შიდა ქართლსა და სამეგრელოში ნაკლებად ხელმისაწვდომია მუნიციპალური ტრანსპორტი მოქალაქეებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ ადმინისტრაციული ცენტრიდან მოშორებით სოფლებში. ტრანსპორტი არ არის რეგულარული და არ მოძრაობს 6 საათის მერე, რაც ხელს უშლის მოქალაქეებს დასაქმებაში.

სესია 2 : რეგიონებში მომუშავე უფლებადამცველების რეკომენდაციები სამომავლო აქტივობებისა და თანამშრომლობისთვის სხვადასხვა აქტორებისთვის (არასამთავრობო ორგანიზაციები, დონორები, სახელმწიფო და სხვ.).

- **რეკომენდაციები:**
  - **სახელმწიფო სტრუქტურებს:**

1. უკეთესი დიალოგი არასამთავრობო სექტორსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის

სახელმწიფომ უნდა მეტად ჩართოს არასამთავრობო სექტორი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დიალოგის პროცესი ხელს შეუწყობს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ უფრო ინფორმირებულ გადაწყვეტილებას. სხვადასხვა სექტორების თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რათა სახელმწიფოს საქმიანობა იყოს უფრო ღია და გამჭვირვალე, ხოლო არასამთავრობო სექტორს ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ საკუთარი კონტრიბუცია შეიტანოს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

ასევე, მნიშვნელოვანია სექტორთაშორისი თანამშრომლობის მექანიზმის შექმნა რეგიონებში, რათა მოქალაქეთა საჭიროებების იდენტიფიცირება და მათ გადასაჭრელად სახელმწიფო სტრუქტურებს შორის კომუნიკაცია უფრო მარტივი და შედეგზე ორიენტირებული იყოს.

მნიშვნელოვანია, რომ გაუმჯობესდეს მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების განხორციელება რეგიონებში, რომ ხელი ამან შეუწყოს მოქალაქეთა ჩართულობას.

2. არასამთავრობო სექტორში სტაჟირების პროგრამის ხელშეწყობა

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს არასამთავრობო სექტორის გაძლიერებაზე, განსაკუთრებით კი უფლებადაცვითი საქმიანობის წახალისებაზე, ხელშეწყობაზე და პოპულარიზაციაზე. ამისთვის სასურველია სახელმწიფომ შეიმუშაოს არასამთავრობო სექტორში (უფლებადაცვით ორგანიზაციებში)

სტაჟირების პროგრამა, რითაც სტიმულს გაუჩენს ახალგაზრდებს, პროფესიული გზა დაგეგმონ ამ სფეროში, დაინტერესდნენ უფლებადაცვითი საქმიანობით და სტაჟირების ეტაპი დაუთმონ იმ საჭირო პრაქტიკული უნარების შემუშავებას, რაც უფლებადაცვითი საქმიანობისთვის გამოადგებათ.

3. შემსუბუქებული საგადასახადო ვალდებულებები არასამთავრობო/არაკომერციული სექტორისთვის

იმისთვის, რომ არასამთავრობო სექტორი იყოს ძლიერი „მოთამაშე" სახელმწიფოში, აუცილებელია, რომ მას არსებობისთვის სტიმულები ჰქონდეს. ეს სტიმულები უნდა გამომდინარეობდეს ასევე არასამთავრობო სექტორის ბუნებიდან გამომდინარე - არასამთავრობო სექტორი საქართველოში არის არაკომერციული სუბიექტი, რომელიც არ მუშაობს მოგებაზე. შესაბამისად, შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ არასამთავრობო სექტორს განსხვავებული საგადასახადო ვალდებულებები უნდა ჰქონდეთ (საშემოსავლო, დღგ), ვიდრე კომერციულ ორგანიზაციებს.

4. შშმ პირების ხელშემწყობი პროგრამები - სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორის წახალისება შშმ პირების დასაქმების შემთხვევაში

იმისთვის, რომ შშმ პირებმა უკეთ შეძლონ სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაცია, დასაქმება და დამოუკიდებელი ცხოვრება, აუცილებელია მათ მიეცეთ მუშაობის შესაძლებლობა. შშმ პირების დასაქმება სახელმწიფოსთვის უნდა იყოს პრიორიტეტული და ამისთვის შესაძლებელია, რომ კერძო სექტორში (არასამთავრობო სექტორის ჩათვლით) შშმ პირების დასაქმებისთვის, სახელმწიფომ წამახალისებელი პროგრამები შეიმუშაოს.

5. უფლებადამცველების დისკრედიტაციის პოლიტიკის შეწყვეტა

სახელმწიფომ მაღალჩინოსნების დისკრედიტაციის პოლიტიკა და აქტივისტებზე ვერბალური თავდასხმები. საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად, ხელისუფლებას აქვს ვალდებულება, რომ ღიად დაუჭიროს მხარი უფლებადამცველებს და აქტივისტებს, ხელი შეუწყოს მათ პოზიტიურ იმიჯს და თავი შეიკავონ ცილისმწამებლური კამპანიებისგან.[2]

- **დონორებს:**

1. დონორებმა ხელი უნდა შეუწყონ არასამთავრობო და სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლობას

შეხვედრაზე უფლებადაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს, რომ ქვეყანაში მოქმედმა დონორმა ორგანიზაციებმა უნდანიშექმნან მეტი სტიმული სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობისთვის, ამისთვის შესაძლებელია საგრანტო შესაძლებლობებში

---

[2] იხილეთ: თბილისის ადამიანის უფლებათა სახლს ანგარიში უფლებადამცველების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ

კონკრეტული პუნქტები/მოთხოვნები იყოს, რაც სტიმულს შექმნის, რომ უფრო ინკლუზიური თანამშრომლობა არსებობდეს.

2. სასურველია, დონორებმა მოახდინონ პრიორიტეტების არეალის გაფართოება.

საქართველოში მოქმედი დონორი ორგანიზაციები უფრო კარგად უნდა იკვლევდნენ საქართველოში არსებულ საჭიროებებსა და გამოწვევებს. იმისთვის, რომ დონორებმაც უკეთ განახორციელონ თავისი საქმე და მიზნობრივად დახარჯონ ბიუჯეტი, აუცილებელია რომ მათ კარგად იცოდნენ რა პრობლემები არსებობს სხვადასხვა მიმართულებით, სხვადასხვა რეგიონებში. ამასთანავე, დისკუსიისას ხაზგასმული იყო, რომ ორგანიზაციებისთვის უმნიშვნელოვანეს მხარდაჭერას წარმოადგენს ზოგადი ინსტიტუციური/ორგანიზაციული მხარდაჭერა. საგრანტო კონკურსები და სხვა ტიპის ფინანსური მხარდაჭერები უმეტესწილად კონკრეტულ პროექტულ აქტივობებს აფინანსებს, რის გამოც ხშირად უფლებადაცვითი ორგანიზაციებს საქმიანობის გაგრძელება უჭირთ, რადგან ვერ ფარავენ ორგანიზაციულ ხარჯებს (ხელფასები, კომუნალურები და ა.შ.) ასევე, ფორუმის მონაწილეების აზრით, დონორების უკეთ შეძლებენ მიზნობრივი დახმარების გაღებას, თუ უკვე განხორციელებული და მიმდინარე პროექტების მონიტორინგს კიდევ უფრო აქტიურად განახორციელებენ ეს მათ შესაძლებლობას მისცემს, გაიგონ რა მიმართულებით იყო პროექტები/აქტივობები წარმატებული და რა საჭიროებს ცვლილებას.

მნიშვნელოვანია ადგილობრივი და ახლად შექმნილი ორგანიზაციების გაძლიერება, მათთვის სხვადასხვა სახის ტრენინგების უზრუნველყოფა როგორიცაა პროექტის წერა, ფონდების მოძიება და სხვა.

- **უფლებადამცველების ინდივიდუალური საჭიროებები**

1. ფიზიკური და ციფრული უსაფრთხოების შესახებ განათლება

საქართველოში ბოლო პერიოდში ცხადი გახდა, რომ უფლებადამცველებს და აქტივისტებს სჭირდებათ მეტი ინფორმაცია საკუთარი ფიზიკური და ციფრული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამ მიმართულებით ორგანიზაციებს სხვადასხვა ტიპის დახმარება ესაჭიროებათ - იქნება ეს ორგანიზაციის ფიზიკური უსაფრთხოების შესახებ დოკუმენტების შემუშავება, ციფრული მოწყობილობების გამართვა, ციფრულ უსაფრთხოებაში ტრენინგის გავლა თუ სხვ.

2. უფლებადამცველებს მეტი ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ იმ საჭიროებებსა და რესურსებზე, რაც აუცილებელია ჰქონდეთ მათ, როგორც უფლებადამცველებს

შეხვედრაზე მონაწილეებმა ისაუბრეს, რომ მათ, როგორც უფლებადამცველებს, რომლებიც არასამთავრობო სექტორში მუშაობენ, არ აქვთ ინფორმაცია, რა უსაფრთხოების გარანტიები შეიძლება ჰქონდეთ მათ, რა ტიპის უნარები უნდა ჰქონდეს უფლებადამცველს, რისი ტრენინგის გავლა გამოადგებათ შემდგომი საქმიანობის გაგრძელებისთვის. ზოგადად, ეს ნიშნავს, რომ უფლებადამცველებს არ აქვთ სრულყოფილი წარმოდგენა, როგორ შეიძლება რომ უკეთ ისარგებლონ უფლებით, იყვნენ უფლებადამცველი და როგორ შეიძლება, რომ თავისი უნარები სწორად განავითარონ.

ფორუმი ადამიანის უფლებებისთვის - 2021- მონაწილეები:

1. ნანა გოგოხია - უფლებადამცველი (სამეგრელო და შიდა ქართლი)
2. ირმა მჭედლიძე - სახალხო დამცველის აპარატი (ქვემო ქართლი)
3. ელნურ ალისოი - სოლიდარობის მუზეუმი (ქვემო ქართლი, კახეთი)
4. ცირა მესხიშვილი - ასოციაცია "ტოლერანტი" (სამცხე-ჯავახეთი)
5. ნესტან ლონდარიძე - ადამიანის უფლებათა ცენტრი (თბილისი)
6. თამარ მალანია - გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია „დეა“ (სამეგრელო-ზემო სვანეთი, სენაკი)
7. ნათია კიკვაძე - "მშობლების თანადგომა" (თბილისი, შიდა ქართლი)
8. მარიამ ამილახვარი - "მშობლების თანადგომა" (თბილისი, შიდა ქართლი)
9. რუსუდანი სახეჩიძე - "საქართველოს შემეცნებითი ცენტრი" (აჭარა)
10. თორნიკე აბულაძე - სოლიდარობის თემი (აჭარა)
11. გვანცა მიქაუტაძე - უფლებადამცველი (თბილისი)
12. არამ აკოპიანი - ახალგაზრდული განვითარების სახლი (ქვემო ქართლი)